საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო

**MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA**


KA030198476522614


საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 251 15 05;
ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; E-mail: info@moh.gov.ge


**№ 01/70632** **21** / აგვისტო / **2014** წ.

GRASS
REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია“
წერილის რეგისტრაციის № 253
თარიღი: 27 08 2014 წ.

ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS)
დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

მიმდინარე წლის 6 აგვისტოს თქვენი N500 წერილის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს მიერ, 2013 წელს, განხორციელდა ნარკომანიის სახელმწიფო პროგრამების ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელების და ჩამანაცვლებელი ნარკოტიკის მიწოდების უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში გაწეული მომსახურების კონტროლი და ვალდებულებების ინსპექტირება 2 სამედიცინო დაწესებულებაში: შპს ,,ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“ (100% სახელმწიფო წილი) და ა(ა)იპ ,,სამედიცინო, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ საკითხთა ცენტრ - ურანტში“.

შპს ,,ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“ განხორციელდა, 2011 წლის 1 აპრილიდან 2013 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში, შესრულებული სამუშაოს რევიზია. ასევე, განხორციელდა ნარკოტიკული საშუალების (მეთადონის) ლეგალური ბრუნვის წესების დაცვის მდგომარეობაზე კონტროლი.

ა(ა)იპ ,,სამედიცინო, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ საკითხთა ცენტრ - ურანტში“ განხორციელდა, 2013 წლის 6 სექტემბრიდან 2013 წლის 1 დეკემბრამდე პერიოდში, შესრულებული სამუშაოს რევიზია.

რაც შეეხება, თქვენს მიერ დასმულ საკითხს, აღნიშნული პროგრამის განმახორცილებელ დაწესებულებებში თანხის გადანაწილებასა და გახარჯვას, გაცნობებთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ამ კუთხით შემოწმება არ განუხორციელებია.

პატივისცემით,

ღონისძიებათა დაგეგმვისა და საზოგადოებასთან
ურთიერთობის სამმართველოს უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი

ნატო ჩხეტიანი